ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 24 ნოემბერი, 2016 №279 (7204) ფასი: 50 თეთრი

შოთა ხაბარელი: „მარიხუანის დეკრიმინალიზაციას მხარს არ დავუჭერ“

გვ.2

24 ნოემბრიდან ბიბლიური იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„სამხედრო სავალდებულო გაწვევის გაუქმება ქართველი ერის ღალატი იყო“

გვ.5

დავით ნემსაძე: „თინა ხიდაშელმა ჯარისკაცების ღირსების დაცვისთვის გამათავისუფლა“

„კარგია, რომ დემოკრატიული პროცესის შედეგად თავდაცვის სამინისტროდან გაუშვეს ნინუა და ცაბაძე, თორემ თადარიგში მყოფი პირები ჩავიცვამდით სამხედრო ფორმას და მივადგებოდით თავდაცვის სამინისტროს“.

თინა ხიდაშელი: „მე არ ვფიქრობ, რომ ვიქტორ დოლიძეს პროფესიონალიზმი დაუფასეს“

გვ.2

ოკუპირებული გალი სამხედრო ქალაქად გამოცხადდა

გვ.4

„მთავრობის კარდინალურ ცვლილებებს სჭირდება კარგად დამუშავებული კონცეფცია“

კავკასიაში ვითარების დაძაბვას ისევ მოელიან

რა შედეგი ექნება აშშ-ის რეაქციას?

გვ.3

გვ.2

რამაზ საყვარელიძე: „ვიქტორ დოლიძის მინისტრობა დასავლური სტანდარტია“

ISSN 1987-9385

ირაკლი შიოლაშვილი: „ჩემი სურვილიც იყო, რომ დეპუტატის პოზიციიდან მომესინჯა ძალები“

გვ.3

გვ.3

ირმა ინაშვილი: „გიგლა აგულაშვილის უწყებაში ძალიან დიდი კორუფციაა“

რამაზ საყვარელიძე: „ვიქტორ დოლიძის მინისტრობა დასავლური სტანდარტია“

„მთავრობის კარდინალურ ცვლილებებს სჭირდება კარგად დამუშავებული კონცეფცია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.

– ბატონო რამაზ, გიორგი კვირიკაშვილმა ახალი მინისტრთა კაბინეტი წარადგინა, რომელიც პარლამენტმა უახლოეს დღეებში უნდა დაამტკიცოს. ოპოზიციის მხრიდან კეთდება შეფასებები, რომ არ ყოფილა სერიოზული ცვლილებები, ერთი სკამიდან მეორეზე გადასხდნენ მინისტრები და ასე შემდეგ. თქვენ რას იტყვით?

– ოპოზიციის პოზიციაც გასაგებია. არაა გასაკვირი, რომ კარდინალურ ცვლილებებს ელოდნენ. ბევრი და მათ შორის მეც ვთვლიდი, რომ კარდინალური ცვლილებები საჭიროა, მაგრამ რეალური პროცესების გათვალისწინებით, სწორი არ არის ეს მოლოდინი.

– რა მხრივ?

– იმ მხრივ, რომ კარდინალურ ცვლილებებს სჭირდება კარგად დამუშავებული კონცეფცია, რომლის ავტორი ერთი კაცი ვერ იქნება, უნდა იყოს ბევრი ადამიანი. მათ ერთი მთლიანი კონცეფცია უნდა შექმნან ჯერ და მერე გაატარონ უპირველესი ნაბიჯი. იმის საფუძველზე უნდა აშენდეს დანარჩენი სახელმწიფო სტრუქტურები.

– და რას იტყვით ეკონომიკურ გუნდზე?

– მე მგონი, ამით იყო განპირობებული, რომ პროცესი დაიწყო ეკონომიკური ბლოკით. პროცესი დაიწყო და არა დამთავრდა. ეკონომიკური ბლოკის შემდეგ რა აუცილებლობებიც დადგება, ამის შეცვლა ამ პარლამენტისთვის არ არის პრობლემა. უმრავლესობას ეს საფრთხე არა აქვს, რომ ექვს ცვლილებას თუ გადააბიჯა, მერე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს კაბინეტის დამტკიცება. კადრების თანდათანობითი ცვლის და ჩართვის საშუალება ამ ხელისუფლებას ექნება.

– იმის თქმა გინდათ, რომ მინისტრთა კაბინეტში გზადაგზა ცვლილებები იქნება?

– მე ვთვლი, რომ სწორედ ეს სტრატეგიაა არჩეული, რომ ცვლილებები მოხდეს თანდათანობით და მოხდეს ეკონომიკურ ბლოკზე დაყრდნობით. რაც შეეხება იმას, რომ ძველი სახეებია, არ ვთვლი, რომ ეს დიდი ცოდვაა, იმიტომ, რომ გამოცდილი სახეებია და ამ გამოცდილების გათვალისწინებით არის გადაწყვეტილება მიღებული. ეკონომიკის მინისტრი იყო საკმაოდ წარმატებული.

– ის გადაიყვანეს ფინანსთა მინისტრად.

– დიახ, ის დაინიშნა ფინანსთა მინისტრად. ასეთი ცვლილება კარგია. ის რომ უფრო რთულ თანამდებობაზე გადაიყვანეს, ეს გასაკვირი არ უნდა იყოს.

– რას იტყვით ახალ ეკონომიკის მინისტრზე? ბევრი დადებითად ახასიათებს.

– კი, მეც შემიძლია სხვების დახასიათებით ვიმსჯელო, რადგან ეკონომიკაში ჩაუხედავი კაცი ვარ, მის მიმართ ყველას პოზიტიური შეფასებები აქვს.

– ვიქტორ დოლიძის გამოჩენას ბევრი არ ელოდა მინისტრთა კაბინეტში. სერიოზული კრიტიკა წამოვიდა მისი ყოფილი გუნდის მხრიდან. როგორია თქვენი შეფასებები?

– ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფრაგმენტი იყო ვიქტორ დოლიძისეული ფაქტი.

– რა თვალსაზრისით?

– იმ მხრივ, რომ ჩვენ გვაქვს რაღაც მოდელი, რომელიც უფრო საბჭოთა წარმოშობისაა, რომ მმართველმა პარტიამ თავისი რიგებიდან უნდა დააკომპლექტოს მთავრობა. საპარლამენტო რესპუბლიკებში, უცხოეთში, პირიქით, სხვადასხვა პარტიიდან არიან წარმოდგენილები, კოალიციური არის ხოლმე მთავრობა. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში კი მთავრობა ისე კომპლექტდება, საერთოდ არ უყურებენ მინისტრების პარტიულ კუთვნილებას. აღმასრულებელ ხელისუფლებაში პარტიული კუთვნილება უკანა პლანზე უნდა გადავიდეს და წინა პლანზე წამოვიდეს პროფესიონალიზმი. ეს არის დასავლეთის სტანდარტი.

– ამ შემთხვევაში ეს მოხდა?

– ამ მხრივ, ვიქტორ დოლიძის დანიშვნა, შეიძლება ითქვას, ევროპული სტილის ნაბიჯი იყო და სასურველია, რომ ეს ტენდენცია მხოლობით რიცხვში არ იყოს და მეტ-ნაკლებად, სამომავლოდაც, აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტებისას, პარტიული კრიტერიუმი არ იყოს წამყვანი და წამყვანი იყოს პროფესიონალიზმი.

– ასევე ზურაბ აბაშიძესაც მოიაზრებდნენ ახალ მთავრობაში, თუმცა ამ ეტაპზე ვერ ვიხილეთ.

– ვნახოთ, ყველაფერი წინაა, ცხოვრება გრძელდება და ვნახოთ, რა ლოკაციები იქნება სამომავლოდ, სად გადაწყვეტს კვირიკაშვილი წამყვანი ფიგურის შეცვლას. მე მგონია, რომ ეს პირველი ნაბიჯი იყო და მომავლისთვის ბევრი ფიგურა შეიცვლება.

– ეფექტურად იმუშავებს ახალი მთავრობა?

– ეს დამოკიდებულია კონცეპტუალურ საფუძველზე. ის, რაც წამოყენებულია, ოთხი პრინციპი, ეს გასაგებია, მაგრამ იმ ოთხის გატარებას უნდა პრაქტიკულად მთელი სახელმწიფო აპარატის ჩამოყალიბება.

– მაგალითად?

– მაგალითად, ეს იგრძნობოდა იმაშიც, რომ განათლების მინისტრზე აიღო ორიენტაცია კვირიკაშვილმა, ადამიანზე, რომელსაც პროფესიულ განათლებაში რაღაც გამოცდილება აქვს. ცხადია, მისთვის სულ ერთი არ იყო, თუ ვინ იქნებოდა განათლების მინისტრი. იმიტომ, რომ პროფესიული განათლების წამოწყება მერე უკვე ეკონომიკურ ეფექტს იძლევა. განათლება უდრის ეკონომიკას და ასე შემდეგ. ყველა დარგი ერთმანეთს ებმის სახელმწიფოში. როგორ უნდა მოხდეს ეს ბმა, ეს ჯერ გააზრებული უნდა იყოს და მერე – გაკეთებული. ვისურვებდი, რომ ჯერ ასეთი კონცეფცია ყოფილიყო მომზადებული, გადამოწმებული და შემდეგ გადადგმულიყო დანარჩენი ნაბიჯები.

თინა ხიდაშელი: „მე არ ვფიქრობ, რომ ვიქტორ დოლიძეს პროფესიონალიზმი დაუფასეს“

– მე არ ვფიქრობ, რომ ვიქტორ დოლიძეს პროფესიონალიზმი დაუფასეს და ამიტომ გახდა მინისტრი.

ამის შესახებ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, რესპუბლიკური პარტიის ყოფილმა წევრმა თინა ხიდაშელმა განაცხადა.

ხიდაშელი მმართველი პარტიის წევრთა განცხადებასაც გამოეხმაურა, სადაც უმრავლესობის წარმომადგენლები ვიქტორ დოლიძის წარდგენას დემოკრატიულ მმართველობად აფასებენ.

ხიდაშელის თქმით, ეს ყველაფერი დემოკრატიის უკუპროპორციულია.

– სავარაუდოდ, დაუფასეს ის გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ ყველამ ვნახეთ სულ ცოტა ხნის წინ.

პროფესიონალი ძალიან ბევრია ამ ქვეყანაში, მაგრამ პოლიტიკური ეჭვიანობა და მოშურნეობა ძალიან მაღალი დონით არის წარმოდგენილი ამ ხელისუფლებაში. მოვისმინე უმრავლესობის წარმომადგენელთა კომენტარები, რომლებიც ამბობენ – „ვიკა დოლიძე რომ მინისტრი გახდა, ადასტურებს, როგორი დემოკრატიული მთავრობა ვართო“. ძალიან სასაცილოა. პირიქით, საპირისპიროს ასაბუთებს ეს ფაქტი.

გიგლა აგულაშვილთან იგივე აზრი არ მაქვს, რადგან ის მთავრობაში სხვა დროს დარჩა, სხვა ვითარებასა და რეალობაში.

ვიკამ პარტიასთან ერთად გადაიტანა ეს არჩევნები, პარტიასთან ერთად დამარცხდა ამ არჩევნებზე, მან შუა ბრძოლაში არ მიატოვა საკუთარი გუნდი, მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდოდ, ის ამ გადაწყვეტილებაზე უკვე ფიქრობდა. მან მაინც არ მიატოვა გუნდი, განსხვავებით გიგლასგან, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ინტერპრესნიუსი

ცესკო: „მრეწველების დაფინანსებით კანონი არ დარღვეულა“

ცესკოს პრესსპიკერ ანა მიქელაძის განმარტებით, პარტიას, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით, საბაზისო დაფინანსებისა და არჩევნებზე მიღებული ხმების დაფინანსების კომპონენტების არჩევა შეუძლია, ხოლო დაფინანსების დანარჩენი კომპონენტი: გენდერის დანამატი, ფრაქციის დანამატი და სხვა კომპონენტი, აღნიშნულ დაფინანსებას ემატება.

ცესკოს პრესსპიკერი მიიჩნევს, რომ პარტია მრეწველების მიერ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე მოპოვებული დაფინანსებისა და საპარლამენტო ფრაქციისთვის განსაზღვრული თანხის ერთდროულად მიღებით, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი არ ირღვევა.

– პარტიების დაფინანსების ოდენობის გამოთვლა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონის 30-ე მუხლში მითითებული ფორმულის თანახმად მოხდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მსგავსი პრაქტიკა არსებობდა სხვა არჩევნების დროსაც და სწორედ ანალოგიური პრაქტიკა განხორციელდა ამ არჩევნების დროს – არანაირი განსხვავებული მეთოდი და ფორმულა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ გამოუყენებია.

დაინტერესების შემთხვევაში, დამატებითი კომენტარის გაკეთება ჩვენს საფინანსო სამსახურსაც შეუძლია – კონკრეტული ფორმულის მიხედვით, რა თანხები როგორ არის ჩასმული და გამოთვლილი. ეს არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც არის ხელმისაწვდომი, – განუცხადა ინტერპრესნიუსს ანა მიქელაძემ.

დიმიტრი ხუნდაძე: „კინკლაობის პერიოდი უნდა დასრულდეს“

– ვფიქრობ, კინკლაობის პერიოდი უნდა დასრულდეს და წარსულს ჩაბარდეს, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა.

იგი ოპონენტების რეპლიკებს გამოეხმაურა.

– ჩვენი მხრიდან არ ყოფილა 9-წლიანი მმართველობის გახსენების თემა წამოწეული, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან გაჟღერდა ჩვენ მიერ ქვეყნის 4-წლიანი მართვის პერიოდის ირგვლივ კრიტიკა. მათი ბრალდებები მედიის თავისუფლებაზე, მართლმსაჯულებაზე ცოტა უცნაურია. სამწუხაროდ, ოპონენტები „ნაციონალური მოძრაობიდან“ ისევ ძველ რეჟიმში არიან, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე საკონსტიტუციო უმრავლესობის საფრთხეს უსაფუძვლოს უწოდებს და მიაჩნია, რომ საფრთხე მხოლოდ მოძალადე ხელისუფლების ხელშია.

დიმიტრი ხუნდაძემ პრეზიდენტის არჩევის საკითხზეც ისაუბრა. იგი აცხადებს, რომ მსგავს თემას პარლამენტი არ განიხილავს და საკითხის „ზედმეტი გადაჭარბებით წამოწევა მოხდა“.

– დასაფიქრებელია საკითხი მხოლოდ მომავალში, ის, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში ბერკეტი პარლამენტს უნდა ჰქონდეს, აქ უცნაური არაფერია, თუმცა თემის წამოწევა ზედმეტად გადაჭარბებით მოხდა. პრეზიდენტი იმ უფლებებით დაასრულებს თავისი მმართველობის ვადას, რაც დღემდე ჰქონდა, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

მედიანიუსი

შოთა ხაბარელი: „მარიხუანის დეკრიმინალიზაციას მხარს არ დავუჭერ“

– მე არ დავუჭერ მხარს მარიხუანის დეკრიმინალიზაციას.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა შოთა ხაბარელმა 23 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– მე ვიცი, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა, რომელიც იწყებს ამით, მერე გადადის უფრო ძლიერ ნარკოტიკზე და ვიღებთ იმ სურათს, რაც დღეს გვაქვს. ძალიან კარგია, რომ ამ მიმართულებით ბევრი საკითხი დარეგულირებულია. თუ ჩვენ დავუშვებთ ამ საკითხს, მე ვფიქრობ, უფრო გამწვავდება სიტუაცია ქვეყანაში. მარიხუანის დეკრიმინალიზაცია მიუღებელია პირადად ჩემთვის, – განაცხადა ხაბარელმა.

მისივე თქმით, შესაძლებელია, რომ ცოტა ლიბერალური მიდგომა იყოს ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ არა – დეკრიმინალიზაცია.

– სასჯელზე, რომელიც არსებობს დღეს, აუცილებლად მსჯელობაა საჭირო და გადასახედია. ცოტა უფრო ლიბერალური მიდგომა შეიძლება მოხდეს ამ კუთხით, მაგრამ მთლიანად ამის გაუქმება არასწორად მიმაჩნია, – განაცხადა შოთა ხაბარელმა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ირაკლი შიოლაშვილი: „ჩემი სურვილიც იყო, რომ დეპუტატის პოზიციიდან მომესინჯა ძალები“

ნათია ხურცილავა

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ წევრი, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი აცხადებს, რომ ახალი სისხლი ყოველთვის საჭიროა, მით უფრო, როდესაც ახალი გამოწვევები ჩნდება და ეს გამოწვევები საპასუხოა.

– ბატონო ირაკლი, თქვენ იყავით კახეთის გუბერნატორი ანუ იყავით აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მერე აღმოჩნდით „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაში, დღეს ხართ მაჟორიტარი დეპუტატი. რამ განაპირობა ეს გადაწყვეტილება?

– ზოგადად აღმასრულებელი ხელისუფლებასა და საკანონმდებლო ხელისუფლების საშუშაო რეჟიმი განსხვავდება. დიდი განსხვავებაა პარლამენტარის საქმიანობასა და გუბერნატორის საქმიანობას შორის. აღმასრულებელ ხელისუფლებაში უფრო დიდი დატვირთვაა, მე ვიტყოდი, რომ ფიზიკური დატვირთვაც უფრო დიდია. თუმცა, ვფიქრობ, იმ გამოწვევებს, რაც საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას ახლავს, ვეცდები ყველანაირად ალღო ავუღო და ჩვენს ამომრჩეველს იმედები გავუმართლო.

– რატომ მოხდა ეს ცვლილება?

– ეს იყო საერთო გუნდური გადაწყვეტილება. მათ შორის, რასაკვირველია, ჩემი სურვილიც იყო, რომ უკვე სხვა პოზიციიდან მოვმსახურებოდი ჩემს ხალხს და მომესინჯა ძალები.

– აღმასრულებელ ხელისუფლებაში შესაძლებელია გადაინაცვლოთ ანუ უკან დაბრუნდეთ კახეთში?

– არა, ამაზე საუბარი არ ყოფილა. შესაბამისად, მე დღეს ვარ პარლამენტის დეპუტატი და ამ პოზიციიდან ვაგრძელებ საქმიანობას.

– პარლამენტში არის კონკრეტული კომიტეტი, სფერო, რომლის მიმართულებითაც იმუშავებთ?

– დიახ, ჩემი ძირითადი მიმართულება და საქმიანობა იქნება სოფლის მეურნეობა. გამომდინარე იქიდან, რომ ის რაიონები და რაიონული ცენტრები, საიდანაც მე გახლავართ არჩეული, უმნიშვნელოვანესია სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ვინაიდან ეკონომიკას სწორედ სოფლის მეურნეობა ქმნის. განვითარების ის გზა, რომელიც ჩვენ დასახული გვაქვს მიზნად, შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კანონმდებლობასთან.

– რატომ, ამ მიმართულებით კანონმდებლობა გამართული არ არის?

– რა თქმა უნდა, ისე არ არის, რომ გამართული არ იყოს, მაგრამ ბევრი დეტალი გასათვალისწინებელია და შესაბამისობაშია მოსაყვანი. ამ მიმართულებით ვაპირებ სწორედ მუშაობას. ყოველდღიურად იცვლება როგორც დარგის მოთხოვნილებები, მიმართულებები, ისე სტანდარტები.

– როგორც ყოფილ გუბერნატორს, გეკითხებით, კახეთში მთავარი პრობლემა, რომელიც ვერ ითმენს და გადასაჭრელია, რა არის?

– ნებისმიერი რამ, რაც უნდა გააკეთო, როგორც ხელისუფალმა, აკეთებ ერთს და საჭიროება ჩნდება მეორის. აკეთებ მეორეს, საჭიროება ჩნდება მესამის.

– წყლის პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება კახეთში ან ყურძნის დაბინავების საკითხი.

ამაზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– რა თქმა უნდა, არის საკითხები, რომლებიც მოსაგვარებელია, თუმცა, ბოლო 3-4 წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი ნაბიჯები იქნა გადადგმული იმისთვის, რომ სოფლად მცხოვრები ჩვენი მოსახლეობისთვის შემსუბუქებულიყო ცხოვრება.

თუმცა, საჭიროა ახალი სისხლი, ახალი ინიციატივები და ახალი პროგრამების განხორციელება. ახალი მოთხოვნილებები გაჩნდა და ახლა საჭიროა სწორედ ამ ახალ მოთხოვნილებებს შევხვდეთ მომზადებული. პარლამენტში ჩვენ გვაქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა, ამის ნება გამოხატა საქართველოს მოსახლეობამ, შესაბამისად, ეს პარლამენტი და მის მიერ მიღებული კანონები იქნება იმ მოთხოვნილებების ადეკვატური, რომლებიც ახლა უდგას ქვეყანას.

– „ქართული ოცნების“ ტაქტიკამ გაამართლა? ძველი სახეების ახალი სახეებით ჩანაცვლებას ვგულისხმობ.

– არ ვფიქრობ, რომ მე ძველი სახე ვარ ან ახალი სახე. მე ვარ ამ გუნდის წევრი. შესაბამისად, აღმასრულებელი ორგანოდან გადმოვინაცვლე საკანონმდებლო ორგანოში. ყველაზე მთავარია არის ის, რომ ხალხმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, მე ხალხის მიერ არჩეული დეპუტატი ვარ, სწორედ მაჟორიტარული სისტემით.

– თითქმის ყველა მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტური დაინიშნა.

– დიახ, მაგრამ ეს იყო ძალიან ბუნებრივი. ჩვენ ჩავატარეთ დემოკრატიული არჩევნები. დემოკრატიული არჩევნების ერთ-ერთი ნიშანი სწორედ მეორე ტურია. საარჩევნო ბარიერი ძალიან მაღალი იყო. თუ ჩვენ დავტოვებდით წინა ხელისუფლების დროს არსებულ მარჟას, ვგულისხმობ 30%-ს, მაშინ ზუსტად იგივე შედეგი იქნებოდა და ყველა ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატი პირველივე ტურში გაიმარჯვებდა.

– შეიძლება გადაიხედოს 50%-იანი ბარიერი?

– არა, პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გადაწყვეტილებით ძალიან დემოკრატიული ნაბიჯი გადავდგით.

კავკასიაში ვითარების დაძაბვას ისევ მოელიან

რა შედეგი ექნება აშშ-ის რეაქციას?

მარიამ მჭედლიშვილი

მსოფლიოში მომხდარ ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კავკასიაში შექმნილ სიტუაციაზე. უცხოელი ანალიტიკოსები რამდენიმე თვეა საუბრობენ იმაზე, რომ რუსეთსა და ნატოს შორის დაპირისპირების ერთ-ერთი კერა კავკასია ხდება.

კავკასიაში სამხედრო აქტივობაა. რუსეთი აგრესიას აფართოებს თავისი სამხედრო ბაზების გაძლიერებით და გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფებების შექმნით.

რუსეთის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ რატიფიცირებულ შეთანხმებას აფხაზეთში ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის შესახებ 23 ნოემბერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საპროტესტო რეაქცია მოჰყვა.

– აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ აშშ-ის დამოკიდებულება მკაფიო რჩება – ეს რეგიონები საქართველოს შემადგენელი ნაწილებია. ჩვენ კვლავინდებურად მხარს ვუჭერთ საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, – განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ჯონ კირბიმ.

მანვე რუსეთი დაადანაშაულა იმაში, რომ ის არ ასრულებს 2008 წელს მიღწეულ შეთანხმებებს.

მანამდე ცოტა ხნით ადრე საპროტესტო განცხადება გააკეთა სოხუმმა. რუსეთის მოკავშირე რეგიონმა ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნები გააპროტესტა, რომელიც 20 ნოემბერს დამთავრდა. საოკუპაციო რეჟიმის შეფასებით, ეს წვრთნები რესპუბლიკისთვის პირდაპირი მუქარაა.

– არაერთხელ დავრწმუნდით, რომ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა მის დასავლელ პარტნიორებთან მიზნად ისახავს საქართველოს ხელისუფლების რევანშისტულ მიზნებს, იმისდა მიუხედავად, ვინ არის ხელისუფლებაში. ამის მკაფიო მაგალითია 2008 წლის მოვლენები, – ნათქვამია აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების განცხადებაში.

საქართველო-ნატოს ბოლო სწავლებას გამოეხმაურა ოფიციალური მოსკოვიც. რუსეთის შეფასებით, ეს წვრთნები საფრთხეს უქმნის სტაბილურობასა და მშვიდობას მთელ რეგიონში.

აფხაზეთთან ერთობლივი სამხედრო დაჯგუფების შექმნის შეთანხმება იმ ფართო სტრატეგიული ხელშეკრულების ნაწილია, რომელიც რუსეთმა ორი წლის წინ დადო. მაშინ ამ ფაქტს დიდი საერთაშორისო გამოხმაურება არ მოჰყოლია. თბილისში ეს ფაქტი შეფასდა, როგორც რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიის გაღრმავება.

ერთობლივი სამხედრო ძალები რუსეთმა აფხაზეთის რეგიონის გარდა, ცხინვალის რეგიონთან, ასევე სომხეთთანაც შექმნა.

კავკასიაში სამხედრო პოტენციალის გაზრდა რუსეთის სამხედრო დოქტრინის ერთ-ერთი მიმართულებაა. ამ დოქტრინის თანახმად, რუსეთმა უნდა შეაჩეროს სამხედრო კონფლიქტები და გააფართოოს მოკავშირეების რიცხვი. რუსეთი დოქტრინაში მიუთითებს, რომ ნატო თავისი მიზნების მიღწევას ცდილობს ახლო აღმოსავლეთში, ბალტიის სახელმწიფოებში, უკრაინასა და კავკასიაში. სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობის ზრდა აჩენს ლოკალური სამხედრო შეიარაღებული კონფლიქტების გაღვივების საფრთხეს. ამის გამო რუსეთსა და მის მოკავშირეებს სჭირდებათ ჯარების დაჯგუფებები.

რუსეთი თავის მილიტარისტულ ნაბიჯებს ისლამური სახელმწიფოს ფაქტორითაც ამართლებს. რუსეთი აცხადებს, რომ ისლამური სახელმწიფოს რიგებში ბევრი კავკასიელი იბრძვის და მათი დაბრუნება საფრთხეს უქმნის სტაბილურობას.

ირმა ინაშვილი: „გიგლა აგულაშვილის უწყებაში ძალიან დიდი კორუფციაა“

პარლამენტის ვიცე-სპიკერის ირმა ინაშვილის განცხადებით, მისი პარტია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პოსტზე გიგლა აგულაშვილის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს.

ამის შესახებ ინაშვილმა მთავრობაში საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით კომენტირებისას განაცხადა.

– ხე-ტყე მასობრივად იჭრება. ძალიან დიდი კორუფციაა ამ სფეროში და ამაზე პასუხი გარემოს დაცვის მინისტრმა უნდა აგოს. ასევე, პასუხი აქვს საგები მას საგარეჯოს შუალედური არჩევნების გაყალბებაში მონაწილეობისთვის, – განაცხადა ინაშვილმა.

ნიუსპრესი

კომიტეტებში მინისტრობის კანდიდატებს მოუსმენენ

პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით ხუთშაბათს, 24 ნოემბერს კომიტეტები მინისტრობის კანდიდატებს მოუსმენენ, ხოლო პარასკევს, 25 ნოემბერს – ფრაქციებთან, უმცირესობასთან და უმრავლესობასთან მთავრობის ახალი შემადგენლობის შეხვედრები და სამთავრობო პროგრამის განხილვა მოხდება.

ბიუროს სხდომაზე გაწერილი გეგმის მიხედვით, შაბათს რიგგარეშე სხდომა გაიმართება, რომელზეც მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას ეყრება კენჭი.

– შაბათის, 26 ნოემბერს არის დაგეგმილი პლენარული სხდომის გამართვა, რასთან დაკავშირებითაც გვექნება კონსულტაციები საქართველოს პრეზიდენტთან, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

◆ ◆ ◆

ცნობისთვის, მთავრობის დამტკიცებისთვის 76 ხმაა საჭირო. აღსანიშნავია ისიც, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობით წარმოდგენილ მმართველ გუნდს, სავარაუდოდ, ნდობის მოპოვების პრობლემა არ ექნება.

ნიუსპრესი

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას 40 ადამიანი დაიღუპა

პროფკავშირების გაერთიანების ცნობით, მიმდინარე წელს საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა ბევრად აჭარბებს 2015 წლის მონაცემებს.

პროფკავშირებმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან ოფიციალური მონაცემი გამოითხოვა, რომლის თანახმადაც 2016 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით (მხოლოდ 6 თვის განმავლობაში) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა 40 ადამიანი, ხოლო 33 მძიმედ დაშავდა.

სტატისტიკა ძალიან საგანგაშოა, ვინაიდან გარდაცვლილთა რაოდენობა 2015 წლის მთელი 12 თვის განმავლობაში 42 გარდაცვლილს შეადგენდა, ხოლო 2016 წლის მხოლოდ 6 თვეში უკვე 40-ს შეადგენს.. აღსანიშნავია, რომ მდგომარეობის ასეთი რადიკალური გაუარესება ხდება იმ ფონზე, როცა სახელმწიფომ 2015 წელს შექმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, თუმცა ის არ აღჭურვა შესაბამისი ეფექტური უფლებამოსილებითა და ვალდებულებებით.

პროფესიული კავშირების გაერთიანება კიდევ ერთხელ მოუწოდებს ხელისუფლებას, სასწრაფო ზომების მიღებისა და ქმედითი შრომის ინსპექციის შექმნისაკენ, რომელსაც ექნება ბერკეტები და უფლება დამსაქმებლისგან დაუკითხავად, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შევიდეს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებში და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ფინანსური და ადმინისტრაციული სანქციები გაატაროს კანონის დამრღვევი კომპანიების წინააღმდეგ. ცვლილებები დაუყოვნებლივ განსახორციელებელია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად და არ არის საჭირო, ველოდოთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გაწერილი ხანგრძლივი ვადების ამოწურვას. ყოველი დაყოვნებული დღე მორიგი საწარმოო უბედური შემთხვევის გამომწვევია.

მედიანიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

თამარ ბერუჩაშვილი: „გაერთიანებული სამეფო საქართველოსთან ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებას სერიოზულად განიხილავს“

ინტერვიუ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან დიდ ბრიტანეთში თამარ ბერუჩაშვილთან



– როგორ დაიწყო „უორდროპის დიალოგი“ დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს შორის და რას ითვალისწინებს თანამშრომლობის ეს ფორმატი?

– საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლების აღდგენის შემდეგ, 1992 წელს, დიდი ბრიტანეთი ერთ-ერთი პირველი წამყვანი დასავლური სახელმწიფო იყო, რომელმაც საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინა, ხოლო 1995 წელს თბილისში ბრიტანეთის საელჩო გაიხსნა. მას შემდეგ ბრიტანეთი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ (გაერო, ევროპის საბჭო, ევროკავშირი, ნატო, ეუთო და სხვ.) ფორმატებში. ასევე აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთი განუხრელად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პოლიტიკას. ამჟამად ჩვენ ღირსეული პარტნიორები ვართ მრავალ სფეროში, იქნება ეს მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა ნატოსა და სხვა საერთაშორისო მისიების ფარგლებში, თანამშრომლობა ევროპის ენერგოუსაფრთხოების ხელშეწყობისათვის თუ აქტიური კავშირები ბიზნესის, კულტურისა და განათლების დარგში.

2014 წელს ჩამოყალიბდა დიალოგის ახალი ფორმატი, რომელსაც ცნობილი დიპლომატის, სერ ოლივერ უორდროპის პატივსაცემად „უორდროპის დიალოგი“ ვუწოდეთ. პატივი მერგო ამ პროცესში, როგორც მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს, საკუთარი წვლილი შემეტანა დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის ოფისის ევროპის სახელმწიფო მინისტრ დევიდ ლიდინგტონთან ერთად. ასევე მინდა აღვნიშნო ამ მიმართულებით საქართველოში ბრიტანეთის ელჩის, ალექსანდრა ჰოლ ჰოლის ძალისხმევა.

„უორდროპის დიალოგი“ ტრადიციული მაღალი დონის ყოველწლიური შეხვედრაა, რომელიც ორმხრივი ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. მათ შორისაა: პოლიტიკური დიალოგი, თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების, სავაჭრო-ეკონომიკური, განათლების, კულტურის და სხვა სფეროებში.

– რა სიახლეებს შეიძლება ველოდოთ „უორდროპის დიალოგის“ ამ რაუნდისგან?

– ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც „უორდროპის დიალოგის“ შეხვედრა ტარდება თბილისში დიდი ბრიტანეთის მთავრობის სხვადასხვა სამინისტროების მაღალი დონის წარმომადგენლების მონაწილეობით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბრიტანულ დელეგაციას ხელმძღვანელობს გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის ამერიკისა და ევროპის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი სერ ალან დუნკანი. ეს ფაქტი, მიანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბრიტანული მხარე საქართველოსთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას.

ამ ინტერესისა და კეთილგანწყობის კიდევ ერთ გამოვლინებად შეიძლება განვიხილოთ მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება, რომ თანამშრომლობის უფრო მაღალ დონეზე გადავიდეთ, რაც გაჟღერდება კიდეც წლევანდელი დიალოგის ფარგლებში. ეს იმის მანიშნებელია, რომ გაერთიანებული სამეფო სამომავლოდ სერიოზულად განიხილავს საქართველოსთან ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებას პოლიტიკის, თავდაცვის, უსაფრთხოების, ეკონომიკისა და კულტურის სფეროებში.

ჩვენი ასევე შევთანხმდით, რომ პარალელურად ჩამოყალიბდება „უორდროპის დიალოგის“ საპარლამენტო და საექსპერტო განზომილებები და უკვე ა.წ. 4-8 დეკემბერს თბილისს ვიზიტით ესტუმრება „დიდი ბრიტანეთის პარლამენტის პარტიათაშორისი ჯგუფის დელეგაცია“, რომელსაც უმასპინძლებს საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტი. ასევე უახლოეს მომავალში ჩატარდება მრგვალი მაგიდა ბრიტანელი და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებზე.

– ბრიტანეთთან არსებული თანამშრომლობიდან რომელ წარმატებულ სფეროებს გამოყოფდით?

– ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობა წარმატებულია მრავალი მიმართულებით: აქტიური პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე მნიშვნელოვანია სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გამყარება და გაფართოება: 2015 წლის მონაცემით, გაერთიანებული სამეფო სიდიდით მეორე ინვესტორია საქართველოში. უმსხვილესი ბრიტანული კომპანია British Petroleum-ი უკვე 20 წელია საქმიანობს საქართველოში და ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო ფართოვდება ახალი რეგიონალური ენერგეტიკული პროექტების წარმატებით განხორციელების ფონზე. დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩო აქტიურად მუშაობს საქართველოს პოტენციალის წარმოსაჩენად. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის საქმიანი ურთიერთობების გააქტიურება. ამასთან, საქართველოში ბრიტანელი ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2016 წლის 9 თვის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობა 7%-ით გაიზარდა.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო მზარდი თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში. 2014 წელს გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მოვლინებულია სპეციალური მრჩეველი ქართველ კოლეგებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით. გაერთიანებული სამეფოს შეიარაღებული ძალების 160-ე ბრიგადის ხელმძღვანელი მარტინ გემბლი 2014 წელს ეწვია საქართველოს და მას შემდეგ ეს ბრიგადა ჩართულია საქართველოში გამართულ ერთობლივ სამხედრო წვრთნებში. 2016 წლის მაისში 150-მა ბრიტანელმა სამხედრომ მონაწილეობა მიიღო აშშ-საქართველოს ერთობლივ წვრთნებში „ღირსეული პარტნიორობა“. ამ წვრთნების მთავარი ამოცანაა წარმატებით გადაჭრათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემები.

ჩვენი ქვეყნების წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, ასევე განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია ორი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ინფორმაციის გაცვლა საერთაშორისო ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში და კიბერ-უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

კრიზისების მართვის სფეროში ქართულ-ბრიტანულ თანამშრომლობას განსაკუთრებული ადგილი უკავია. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოში წლების განმავლობაში აქტიურად საქმიანობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის მრჩეველი სერ გარი ჯონსონი, ხოლო „ეროვნული სიტუაციური ოთახი“ ქართულ-ბრიტანული თანამშრომლობის თვალსაჩინო პროექტია.

საქართველოს და გაერთიანებულ სამეფოს თანამშრომლობის დიდი პოტენციალი აქვთ კულტურულ, განათლების, მეცნიერებისა და სახელოვნებო მიმართულებით. ამ საქმეში „ბრიტანეთის საბჭო“ ჩვენი განსაკუთრებული პარტნიორია, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია შექსპირისა და რუსთაველის საიუბილეო წლებისადმი მიძღვნილი პროექტი, რომელიც წარმატებით ჩატარდა საქართველოში და 28 ნოემბერს ლონდონში დაგეგმილია სპეციალური ღონისძიება „შექსპირი და რუსთაველი ხვდებიან ლონდონში“.

მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ყოველწლიურად იზრდება ბრიტანული ე.წ. ჩივენინგის სტიპენდიები ქართველი სტუდენტებისათვის. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა ახალგაზრდა ქართველი ლიდერებისთვის გაიღრმავონ ცოდნა და გამოცდილება.

– როგორ გესახებათ საქართველო – დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა „ბრექსიტის“ ფონზე?

– ა.წ. ივნისში ბრიტანელმა ხალხმა გააკეთა ისტორიული არჩევანი ევროკავშირის დატოვების შესახებ. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ქალბატონმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ ევროკავშირიდან გამოსვლით, დიდი ბრიტანეთი არ ტოვებს ევროპას. შესაბამისად, საქართველო მზადაა, ერთი მხრივ, აქტიურად ითანამშრომლოს დიდ ბრიტანეთთან ერთიანი ევროპის მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხებზე და ამასთან ერთად, გამოიყენოს ახალი შესაძლებლობები ორმხრივი ურთიერთობების ყველა მიმართულებით გაღრმავებისა და გაფართოებისათვის.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარება ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. საქართველო, რომელიც თანმიმდევრულად მისდევს პარტნიორებთან თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკას, შესაძლებელია გახდეს ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც ბრიტანეთთან, მისი ევროკავშირიდან გამოსვლის შემდეგ, გააფორმებს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას.

ჩვენ წინ გველის დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ძალიან საინტერესო ეტაპი, რომლის ეფექტურად გამოყენება ჩვენი ქვეყნისათვის, მათ შორის „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ გათვალისწინებით, ქართული დიპლომატიის უპირველესი ამოცანა იქნება.

ესაუბრა მარიამ ჩუბინიძე

პრესრელიზი

21 ნოემბერს მაგთიკომსა და დელტაკომს შორის მაგთიკომის მიერ დელტაკომის 100%-იანი წილის შესყიდვის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

ამა წლის 19 სექტემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ერთობლივი განცხადებით შპს „მაგთიკომმა“ და შპს „დელტაკომმა“ მიმართეს. კომპანიებმა შპს „მაგთიკომის“ მიერ შპს „დელტაკომის“ წილის 100 პროცენტის შეძენაზე კომისიისგან წინასწარი თანხმობა მოითხოვეს. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის გამოკვლევის მიზნით, კომისიამ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეისწავლა აღნიშნული გარიგების დეტალები და დაადგინა, რომ შპს „დელტაკომის“ წილის 100 პროცენტის შპს „მაგთიკომის“ მიერ შეძენაზე წინასწარი თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. შესაბამისად, ამა წლის 18 ნოემბერს მიზანშეწონილად ჩათვალა ოფიციალური თანხმობა განეცხადებინა მაგთიკომის მიერ დელტაკომის შესყიდვის თაობაზე.

შპს „დელტაკომი“ ადგილობრივი დაშვების ფიქსირებული და მაგისტრალური ქსელების მფლობელი ინტერნეტპროვაიდერია. კომპანიას ინფრასტრუქტურა შემდეგ გეოგრაფიულ ერთეულებში აქვს: თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი.

მაგთიკომისთვის წელს ეს უკვე მეორე მსხვილი გარიგებაა. მაგთიკომმა კავკასუს ონლაინის საცალო და კორპორაციული საოპერაციო აქტივები შეიძინა და მანამდე არსებულ ბიზნეს მიმართულებებს (მობილურ, ფიქსირებულ ტელეფონიას და სატელიტურ ტელევიზიას) ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი და IP ტელევიზია დაუმატა.

დელტაკომის შესყიდვის შემდეგ, მაგთიკომი ინტერნეტის რეგიონალური წვდომის არეალის მნიშვნელოვან გაფართოებას გეგმავს, რაც როგორც მომხმარებლებს, ისე ტელესაკომუნიკაციო დარგს და მთლიანად ქართულ ეკონომიკას სასიკეთო შედეგებს მოუტანს.

დელტაკომი საწყისი პერიოდის განმავლობაში თავისი სახელით გააგრძელებს ოპერირებას. შესაბამისად, დელტაკომის არსებული მომხმარებლებიც მომსახურებას უწყვეტ რეჟიმში ისევ დელტაკომისგან მიიღებენ.

მაგთიკომი საქართველოში პირველი და ერთადერთი ოპერატორია, რომელიც 3 მილიონამდე მომხმარებელს სრულ ტელესაკომუნიკაციო მომსახურებას აწვდის: მობილურ და ფიქსირებულ ტელეფონიას, სატელიტურ და IP ტელევიზიას, ოპტიკურ-ბოჭკოვან ინტერნეტს.

პატრიარქმა მოსკოვის ქართულ ეკლესიაში მრევლს გიორგობა მიულოცა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ მოსკოვის ქართულ ეკლესიაში შეკრებილებს გიორგობის დღესასწაული მიულოცა.

პატრიარქი გიორგობის დღესასწაულზე მოსკოვის ქართულ ეკლესიაში იმყოფებოდა, სადაც მრევლი დალოცა და მათ ქადაგებით მიმართა.

ტაძარი მომლოცველებით იყო სავსე.

ოკუპირებული გალი სამხედრო ქალაქად გამოცხადდა

ოკუპირებული გალი სამხედრო ქალაქად გამოცხადდა, შესაბამისი გადაწყვეტილება აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა და ოფიციალურმა მოსკოვმა მიიღეს.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, გალის ტერიტორიაზე 25-მდე რუსული სამხედრო საგუშაგო განთავსდა. ადგილობრივ მოსახლეობას კი ოჩამჩირეში გადაასახლებენ.

ჩვენი ინფორმაციით, ოკუპირებულ თვითმმართველ ორგანოში რუსეთის დუმის დეპუტატებმა ამ თემაზე შეხვედრა გამართეს, სადაც გადაწყდა, რომ სოფელ სიდაში აეროპორტი აშენდება.

გალის რაიონის ზოგიერთი სოფელი ოჩამჩირის რაიონს, ხოლო ზოგი ტყვარჩელის რაიონს მიაკუთვნეს.

ამიერიდან აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებლებს სამხედრო ქალაქში საშვის გარეშე არ შეუშვებენ. საშვი უნდა წარადგინონ ე.წ. ერის წყალზე მდებარე რუსულ საგუშაგოში.

აღნიშნულ თემას გუშინ თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია გამოეხმაურა.

– ჩვენი მთავარი ამოცანაა, ჩვენი საბრძოლო მზადყოფნა იყოს მაღალი, ჩვენ ჩვენი უნარით უნდა შევძლოთ, ყველანაირ საფრთხეს ადეკვატური პასუხი გავცეთ. ამიტომ, ჩვენი შეიარაღებული ძალების სიძლიერე არის ყველაზე კარგი პრევენცია და აგრესიის თავიდან აცილება, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ.

„ნიუპოსტი“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა. როგორც ქვეყნის მთავარ უწყებაში აცხადებენ, აღნიშნულ საკითხზე, სავარაუდოდ, კომენტარი მოგვიანებით გაკეთდება.

დავით ნემსაძე: „სამხედრო სავალდებულო გაწვევის გაუქმება ქართველი ერის ღალატი იყო“

„თინა ხიდაშელმა ჯარისკაცების ღირსების დაცვისთვის გამათავისუფლა“

გულიკო ბალაძე

თავდაცვის უწყების ყოფილი თანამშრომელი დავით ნემსაძე, რომელიც ხიდაშელის მინისტრობის დროს გაათავისუფლეს, ორი დღის წინ სამხედრო პოლიციამ დაკითხა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა სახლის“ სამხედრო ექსპერტი დავით ნემსაძე „ახალ თაობასთან“ თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე პროცესებს აფასებს.

– თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი კომპეტენციის მიღმა იმყოფება.

გენშტაბის ვალდებულებაში შედის სტრატეგიული ხედვების, სტრატეგიული ამოცანების, ალგორითმების და დებულებების შედგენა. თუ გენშტაბი მასზე დაქვემდებარებულს ეკითხება, ეს როგორ გააკეთოს, ეს ნიშნავს, რომ თვით გენშტაბი არის კომპეტენციის მიღმა, – ამბობს დავით ნემსაძე.

– კაპანაძის გადადგომას როგორ აფასებთ?

– ეს ის კაპანაძეა, რომელსაც ხიდაშელის მიერ სავალდებულო ჯარის გაუქმება უპრიანად მიაჩნდა და დემოკრატიულს ეძახოდა.

– სამხედრო სავალდებულო გაწვევა არ უნდა გაუქმებულიყო?

– სამხედრო სავალდებულო გაწვევის გაუქმება ქართველი ერის ღალატი იყო.

– ღალატი რატომ?

– ჩვენ მრავალეთნიკური ერი ვართ. რიგითი სამხედრო სავალდებულო სამსახურში, ცხოვრებაში პირველად ნახულობს სიმწარეს, იკვრება და იძენს გუნდურ სულს. ვისთან ერთადაც წინაღობებს გადალახავს, მისთვის ის ადამიანი ხდება უძვირფასესი. როდესაც ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების ადამიანები ახალგაზრდულ ასაკში ცხოვრებისეულ გაჭირვებას ერთად გამოივლიან, იკვრებიან.

– თინა ხიდაშელი ამბობდა, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახური არის მონური სამსახური, რიგით ჯარისკაცს მონურად ამუშავებენო. ეს თქვენ როგორ გაიგეთ?

– სამხედრო სავალდებულო სამსახურს სამხედრო წესდებები არეგულირებს. ერთ-ერთი არის საყარაულო წესდება. ყარაულის შეიარაღებული ქვედანაყოფი მოწოდებულია საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. თუ ყარაულში დგომა, ჯარისკაცის უპირველესი მოვალეობა ქვეყნის მიმართ მონობაა, მაშინ რა არის ჯარისკაცისთვის მისი უმთავრესი საბრძოლო ალგორითმი? ისეთ ქვეყანაში, სადაც ხიდაშელი ძაღლების მაგივრად ყეფს, როგორც კატა, ამაზე კომენტარს აღარ გავაკეთებ.

– თქვენი ოპონენტები საუბრობენ საკონტრაქტო ჯარზე, როგორც უფრო კვალიფიციურ, მობილიზებულ და შეიარაღებული ძალების მოტივირებულ ნაწილზე. საკონტრაქტო ჯარი თქვენთვის მიუღებელია თუ ორივე სახის ჯარი უნდა გყავდეს?

– ეს არის შიდა ხვეულები. ისრაელს ჩვენზე პატარა ტერიტორია აქვს. იქ ქალისთვისაც სავალდებულოა სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა. არ ვამბობ, საქართველოშიც გავიწვიოთ ქალები ჯარში, მაგრამ საკუთარი ერის მიმართ მოვალეობა ცოტა უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე სამხედრო სავალდებულო ჯარი და სამხედრო საკონტრაქტო შეიარაღებული ძალები.

ხიდაშელმა რაც გააკეთა, შეიარაღებული ძალების ორ ფენად გაყოფა იყო – სამხედრო საკონტრაქტოდ და სამხედრო სავალდებულოდ, რაც უბედურებაა. ჯარში წესდებას არეგულირებს ორი ფორმა, სამართლიანი სასჯელი და დამსახურებული ჯილდო. როდესაც პროცესი ასცდება ამ ფორმას, იქ ისადგურებს უწესრიგობა, რაც ის ოქროს ხაზია, რაზეც შეიარაღებულ ძალებში სამართლიანობის პრინციპი უნდა იყოს დაფუძნებული.

– თქვენ დაკითხვაზე იყავით დაბარებული. რატომ დაგიბარეს?

– 21 ნოემბერს, ჩემი განცხადების საფუძველზე, დაბარებული ვიყავი თავდაცვის სამინისტროში დაკითხვაზე. ჩვენება მივეცი იმაზე, რომ ის ეკიპირება, რომელიც სამხედრო მოსამსახურეს კანონით უნდა ჰქონდეს, ჩვენი ხარჯით იყიდებოდა.

– ანუ თქვენი ხელფასიდან?

– დიახ, ეკიპირების ნაწილის შეძენა ჩვენი ხელფასიდან ხდებოდა. გენშტაბისა და მთელი სამინისტროს მისამართით ვსვამ კითხვას, ლოჯისტიკურ დეპარტამენტს, რომელსაც გათვლილი აქვს ხარჯები, ნებისმიერ ჯარისკაცზე ეკიპირებისთვის სავალდებულო ნივთების შესაძენად (საჭირო ეკიპირების ნახევარს ჩვენ ვიძენდით) ნახევარი თანხა სად მიჰქონდა?!

– დაკითხვა როგორ წარიმართა?

– ვეჭვობ, უფლებადამცველთა სახლის ადვოკატი გიორგი ლაბაძე რომ არ მხლებოდა, საუბარი ისე ვერ წარიმართებოდა.

– რატომ?

– დაკითხვის დროს იქ ისეთი პირები შემოვიდნენ, ეჭვის საფუძველი მაქვს.

– მაგალითად?

– დაკითხვის პროცესში მიხეილ ჭანუყვაძე და ცაბაძე შემოვიდნენ. სწორედ ამ პირებს ჰქონდათ გრიფით საიდუმლო მასალები, როგორ დაწვა ცაბაძემ სენაკის მთაზე საზენიტო რადიოლოკაციური დაზვერვის მილიონებად ღირებული კომპლექსი. ვინ არის დღეს ამაზე პასუხისმგებელი? ჭანუყვაძე? სად არის ჭანუყვაძე? როგორ წინაურდებოდა ცაბაძე?

ლერი ხაბელოვის პოლიტიკურ აქციებზე ცაბაძე პროვოცირებდა, როცა ის იყო საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსი. მოქმედი სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მიხედვით, მას არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ აქციებში. რა უნდოდა საჰაერო თავდაცვის ბრიგადის მეთაურს „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ აქციებზე? რატომ იყო იქ ჩხუბი გამართული მისი მიმართულებით? აქციებზე ხალხს გადაღებას უკრძალავდა და პროვოცირებდა არეულობას.

– მოქმედი სამხედრო პირი პროვოკაციებს აწყობდა?

– დიახ, ლერი ხაბელოვის პოლიტიკურ აქციებზე. ექსპერტთა ჯგუფში როცა ვმუშაობდი, მის წინააღმდეგ სარჩელი შევიტანეთ და დაეწერა ბატონ დავით გურასპაშვილს. მინდია ჯანელიძის დროს საქმეების გამოძიება დაიწყო, მაგრამ ხიდაშელის მოტივით მინდია ჯანელიძე გაუშვეს სამინისტროდან და ამ ქალბატონმა შემდეგ ყველანი შეიფარა. კარგია, რომ დეტალური სტატისტიკა, ანალიზი, ინფორმაციული ბაზა, ეს ყველაფერი ეროვნული ბანკის ხელშია. ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკია, ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკია. ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკია. ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკია.

ბოლქვაძის ქუჩაზე მამაკაცის დანაწევრებული ცხედარი იპოვეს

22 ნოემბერს თბილისში, ბოლქვაძის ქუჩაზე, აღმოაჩინეს მამაკაცის დანაწევრებული ცხედარი.

ცხედარი ჩანთაში იდო.

ადგილობრივმა მცხოვრებმა საგანგებო სიტუაციების სამსახურში მას შემდეგ დარეკა, რაც სუნმა შეაწუხა.

თავდაპირველად იფიქრეს, რომ ეს გაზის სუნი იყო.

– პოლიციაში მეორე სართულის მეზობელმა დარეკა. იფიქრა, ქვემოდან ალბათ გაზის სუნი ამოდისო, – განუცხადა ინტერპრესნიუსს ბოლქვაძის ქუჩის მცხოვრებმა დავით იობაძემ, რომლის სახლთანაც იპოვეს შუახნის მამაკაცის ცხედარი.

იობაძემ, რომელიც პოლიციის განყოფილებაში ღამით იმყოფებოდა, აღნიშნა, რომ არანაირი ინფორმაცია არ აქვს არც გარდაცვლილზე და არც მომხდარ ფაქტზე და, შესაბამისად, გამოძიებისთვის რაიმე კონკრეტული ინფორმაცია არ მიუწოდებია.

როგორც სარდაფის მეპატრონე აცხადებს, შსს-ს თანამშრომლები თავდაპირველად მის სახლში სუნის დასადგენად მივიდნენ. მისივე თქმით, წარმოდგენა არ აქვს თუ როგორ აღმოჩნდა მის კუთვნილ სარდაფში მამაკაცის გვამი.

– ასე მითხრეს, თქვენმა მეგობრებმა ჩაიდინესო, რომლებიც თქვენთან სვამენო. არიან ხულიგნები და მიდის გადაჭარბებული ლოთობაო. ალკოჰოლმა იცის ტვინის გადაბრუნებაო. მეგობარი არ უნდა მომივიდეს?! არა მაქვს უფლება, ჩემს სახლში დავლიო? ჩემს სახლში სუნის დასადგენად შემოვიდნენ, – განაცხადა მეპატრონემ და დასძინა, რომ სარდაფის კარი ყოველთვის ღია იყო და იქ შესვლა ნებისმიერ პიროვნებას შეეძლო.

არსებობს ვერსია, რომ გვამი შენობაში მიიტანეს.

მეზობლების განცხადებით, გარდაცვლილი მამაკაცი, სავარაუდოდ, ადგილობრივი არ არის.

– გვამი დანაწევრებული იყო და დიდ თურქულ ჩანთაში იყო მოთავსებული, – ყვება ადგილობრივი.

* * *

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლქვაძის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით 2 პირი დააკავა.

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, 1987 წელს დაბადებული ო.ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ხოლო 1963 წელს დაბადებული დ.წ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს, თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, თავის საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკებისას, ნაცნობს, -1976 წელს დაბადებულ გ.მ.-ს, ბლაგვი საგნით თავის არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენა, რის შედეგადაც იგი რამდენიმე საათის შემდეგ, შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

დანაშაულის დაფარვის მიზნით, ო.ა.-მ ცხედარი თავისი საცხოვრებელი სახლის გვერდით მდებარე სათავსოში დამალა.

შსს-ს ინფორმაციით, ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება მიმდინარეობს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე.

სენაკი-ქუთაისის გზაზე მამაკაცი დაჭრეს

ქუთაისი-სენაკის გზაზე ახალგაზრდა მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღიდან დაჭრეს. მამაკაცს ჭრილობები თავის და მუცლის არეში აქვს მიყენებული.

სროლა გუშინ გამთენიისას მოხდა. 35 წლამდე გიგა ი-ს 6 ტყვია მუცლის არეში, 1 კი თავში აქვს მოხვედრილი.

მამაკაცი ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში გადაიყვანეს.

დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრის დირექტორის, გიორგი ხუციშვილის განმარტებით, მამაკაცი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა და მას ოპერაცია თავზე გაუკეთდა.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი უკრაინიდან ახალი დაბრუნებული იყო.

ოჯახის წევრები მომხდართან დაკავშირებით ჟურნალისტებთან არ საუბრობენ.

ერთ-ერთი ვერსიით, გარჩევა მოსკოვში დაწყებულ უთანხმოებას უკავშირდებოდა, როდესაც ე.წ. კანონიერი ქურდი მოკლეს.

მომხდარზე გამოძიება უკვე დაიწყო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108 (განზრახ მკვლელობის მცდელობის) მუხლით მიმდინარეობს.

დავით სერგეენკო: „გამოიკვეთა კლინიკები, რომლებსაც მატერიალური მოგების სურვილი ამოძრავებთ“

– ჯანდაცვის სფეროს ერთი სპეციფიკა ახასიათებს, თუ მასში რეფორმის მასშტაბის გაუმჯობესება მუდმივად არ შეგაქვს, სისტემა აუცილებლად უკან დაიხევს.

ამის შესახებ ჯანდაცვისმინისტრობის კანდიდატმა, დავით სერგეენკომ გადაცემა 2030-ში განაცხადა.

– 4 წლის განმავლობაში მთავარი გამოწვევა ის იყო, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტისთვის, ვინც სამედიცინო დახმარებით ვერ სარგებლობდა, ეს საშუალება გაგვეჩინა, რაც შევძელით კიდეც. მომავალი 4 წლის მთავარი, სტრატეგიული გამოწვევა კი, ამბულატორიული პაციენტებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ჯანდაცვის ხარისხი და სამედიცინო დახმარების განფასების ახალი სისტემის შექმნაა, – განაცხადა სერგეენკომ.

მისი თქმით, 4 წლის განმავლობაში გამოიკვეთა ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის როგორც მიღწევები, ასევე ხარვეზები.

– სამედიცინო მოვლა დღეს არა მხოლოდ ექიმისა და ექთნის, თუნდაც სამედიცინო აღჭურვილობის საკითხი გახდა, არამედ ეს არის რთული ბიზნესპროცესი, რომელსაც კარგი ორგანიზება სჭირდება. გამოიკვეთა სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც ამოცანებს თავს წარმატებით ართმევენ და ასეთი უმრავლესობაა. თუმცა, გამოიკვეთა კლინიკები, რომლებსაც მატერიალური მოგების მიღების სურვილი ამოძრავებთ, რასაც პაციენტისა და სამედიცინო პერსონალის ხარჯზე აკეთებენ, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

როგორც მან აღნიშნა, ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა მიწვდომადობა, რაც ყველგან თანაბარი არ არის. მისი თქმით, მსოფლიოში არ არსებობს სისტემა, სადაც სახელმწიფოს მიერ აბსოლუტურად ყველა სამედიცინო საჭიროება იფარება.

– ჩვენს შემთხვევაში გადაუდებელი შემთხვევები 100%-ით იფარება, გეგმური ოპერაციები კი – 70-80%-ით. თანაგადახდა მხოლოდ ფინანსური შეკავების მექანიზმი არ არის. სამწუხაროდ, ეს არასაჭირო ოპერაციებისა და გამოკვლევების შემაკავებელი ფაქტორია. სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, ამ თანაგადახდის პროცენტში მნიშვნელოვან მხარდაჭერას უკეთებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სოციალურად დაცული მოსახლეობისთვის კი, უმრავლეს შემთხვევაში, ეს თანხა მისაწვდომია, – განაცხადა სერგეენკომ.

ტურმალინის საცვლები

ტურმალინს გააჩნია ბუნებრივი (bioenergy) სამკურნალო თვისებები. იგი ერთადერთი მინერალია, რომელსაც გააჩნია მაგნიტური ველი. ტურმალინი ასხივებს ინფრაწითელ სხივებს, რაც ათავისუფლებს თავისუფალ რადიკალებს. თავისუფალი რადიკალები არის ეგრეთწოდებული „ნარჩენები“, რომელსაც ორგანიზმში წარმოქმნის დაბინძურებული გარემო, ულტრაიისფერი სხივები, სიგარეტის კვამლი, გამონაბოლქვი და სხვა გარემო ფაქტორი.

თავისუფალი რადიკალები ზიანს აყენებენ უჯრედულ სტრუქტურას. უკიდურეს შემთხვევაში იწვევს კიბოს გაჩენას. ტურმალინი წერტილოვნად არის დატანილი ქვედა საცვლის ზედაპირზე. შედეგად, აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, რაც ხელს უწყობს უჯრედების ჟანგბადით მომარაგებას, ასტიმულირებენ ნერვულ დაბოლოებებს, .აუმჯობესებს სისხლძარღვთა გამტარობას, აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ებრძვის 650-ზე მეტი სახეობის ბაქტერიას.

ტურმალინის ნანო ზედაპირი აღადგენს შარდსასქესო სისტემის ფუნქციას, ცისტიტი, ურეთრიტი, უნებლიე და ხშირი შარდვა, წვა და ტკივილი შარდვის დროს, ფეხების დაბუჟება, თირკმლის დაავადებები (ნეფრიტი, პიელონეფრიტი), კუჭის წყლულები, ყაბზობა, მეტეორიზმი, ბუასილი. ეფექტურად მოქმედებს ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე, ამცირებს კუნთების ტკივილს, საჯდომის ნერვის ანთებას, ხერხემლისა და წელის მიდამოს ოსტეოქონდროზს. აქვს ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. უკუგანვითარებას იწყებენ ფარული ინფექციები, სქესობრივი გზით გადამდები ვენერიული დაავადებები (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, გენიტალური ჰერპესი და სხვა).

ქალბატონებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, გამონადენი, ვაგინიტი, ენდომეტრიტი, მტკივნეული მენსტრუაცია, კლიმაქსის პერიოდი, სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადებები, საშვილოსნოს ყელის ეროზია, საშვილოსნოს ფიბრომა, კისტა, ფრიგიდულობა, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აღადგენს ჰორმონალურ ბალანსს, რეპროდუქციულ სისტემას.

მამაკაცებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი, წვა და ტკივილი შარდვის დროს, სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, აღადგენს და აძლიერებს პოტენციას სექსუალური ფუნქციის დაქვეითების დროს, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აუმჯობესებს სათესლე ჯირკვლების მდგომარეობას.

შემადგენლობა

ტურმალინის ძაფი 78 %, აბრეშუმი, ტურმალინის მიკროკრისტალები, ანტიალერგიული, კომფორტული, სასიამოვნო და უვნებელი მასალა.

ტურმალინის საცვლებს რეკომენდაციას უწევენ პროქტოლოგები, გინეკოლოგები. ნეფროლოგები.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 79. „მედგენიკა“

ტელ.: 218-21-86; 579-885-996.

ფასი 35 ლარი

„საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა უცხო ქვეყნებიდან შემოსული ფინანსური რესურსი“

რას ამბობს მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტი

– საქართველო ახლა დგას გამოწვევის წინაშე, თუ როგორ უნდა მოახდინოს ეროვნული კურსის დარეგულირება. თუმცა ეს არის პერიოდი, როცა ხელისუფლებამ და ეროვნულმა ბანკმა ხელოვნურად არ უნდა დაასტაბილუროს კურსი, არამედ მას მისცეს საშუალება, რომ ბუნებრივად დარეგულირდეს, – განაცხადა მსოფლიო ბანკის ევროპისა და აღმოსავლეთ ქვეყნების მთავარმა ეკონომისტმა, ჰანს ტიმერმა ბუქარესტში გამართულ პრეს-ბრიფინგზე, სადაც ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ეკონომიკური ანგარიშის პრეზენტაცია მოხდა.

მისი განმარტებით, სტაბილური ვალუტა ქვეყნის წარმატებას პირდაპირ არ განსაზღვრავს და საგარეო შოკების პარალელურად ღარის ეგრეთ წოდებულ მცურავ რეჟიმში გაშვებაა საჭირო.

– საქართველოს ეროვნული ბანკი დიდი სიფრთხილით უნდა მიუდგეს ამ საკითხს. ეკონომიკურ შოკს ხშირად სჭირდება ვალუტის ცვლილება, რომ მას ქვეყანა გაუმკლავდეს. თუმცა ვალუტის ცვლილების გამო, საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა უცხო ქვეყნებიდან შემოსული ფინანსური რესურსი. ამიტომ დევალვაცია აუცილებელია, – დაამატა ჰანს ტიმერმა.

მსოფლიო ბანკის საქართველოს ოფისის მთავარმა ეკონომისტმა, ჟენევიევ ბუიარომ კი განმარტა, რომ სტაბილური გაცვლითი კურსი მაშინაა მნიშვნელოვანი, როცა ქვეყანა დიდად არის დამოკიდებული საგარეო ურთიერთობებზე.

– ჩვენ ვამბობთ, რომ ინფლაცია დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდება. ეს ნიშნავს, რომ კურსის გაუფასურების შეჩერების მიზნით წინ კარგი ნაბიჯები იდგმება, – აღნიშნა ჟენევიევ ბუიარომ.

ნანა მღებრიშვილი, ბიბიანი

იუსტიციის სამინისტროს ყოფილ შენობაში 5 ვარსკვლავიანი ჰაიატის გახსნა გადაიდო



რუსთაველის გამზირზე, იუსტიციის სამინისტროს ყოფილ შენობაში 5 ვარსკვლავიანი ჰაიატ რეჯენსის სასტუმროს გახსნა 2018 წლამდე გადაიდო.

როგორც კომპანია „რუსთაველი ფროფერთისის“ ხელმძღვანელი მინდია გადაევი რადიო „კომერსანტთან“ აცხადებს, ამჟამად შენობის რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომელიც წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

მისივე ინფორმაციით, წლის ბოლომდე ელოდებიან ფინანსურ ინსტიტუტებთან დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასაც.

გადაევის თქმით, მომავალი წლიდან იმედი აქვთ, რომ აქტიური სამშენებლო სამუშაოები დაიწყება, კომპანია ტენდერის საფუძველზე შეარჩიეს და ეს იქნება საერთაშორისო კომპანია „აეკომის“ პოლონური ფილიალი.

გადაევი ამბობს, რომ სასტუმროს გახსნა 2017 წლისთვის იყო დაგეგმილი, თუმცა ტექნიკური საკითხების გამო სასტუმრო 2018 წლის განმავლობაში გაიხსნება.

მისივე თქმით, სასტუმრო „საპარტნიორო ფონდთან“ ერთად შენდება და შესაბამისი ხელშეკრულება დეკემბრის შუა რიცხვებში გაფორმდება.

სასტუმრო 170 ნომრიანი იქნება.

„რუსთაველი ფროფერთისმა“ იუსტიციის სამინისტროს ყოფილი შენობა აუქციონზე შეიძინა. პროექტის ღირებულებად 60 მილიონი დოლარი სახელდებოდა.

ჰაიატის ბრენდის სასტუმროს მშენებლობა თავდაპირველად ყოფილი კაზინო „არაგვის“ ტერიტორიაზე იგეგმებოდა. ამ სასტუმროს მშენებლობაზე უარი ინვესტორმა 2008 წლის მოვლენების ფონზე თქვა.

დღეს „არაგვის“ ტერიტორიაზე ბიზნეს ცენტრის პროექტი განიხილება. თუმცა მინდია გადაევი ამბობს, რომ პროექტის განხორციელებისთვის რამდენიმე ასეული მილიონის დაფინანსებაა საჭირო. სწორედ ამიტომ ცდილობენ, რომ საინტერესო პროექტი შეიკრას და მოხდეს მისი განხორციელება.

გადაევის განცხადებითვე, კომპანია ამ ეტაპზე სასტუმროს პროექტზე არის კონცენტრირებული, რომლის დასრულების შემდეგ არაგვის ტერიტორიის განვითარებაც მოხდება.

კომერსანტ-გე

ლონდონმა ტრამპის თხოვნა უარყო

აშშ-ს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თხოვნით მიმართა ინგლისის პრემიერ ტერეზა მეის, რათა აშშ-ში ბრიტანეთის ელჩად ნაიჯელ ფარაჯი დაენიშნა.

მეიმ ეს წინადადება უარყო.

ბრიტანეთის პრემიერის ტონი კატეგორიული იყო. მან ტრამპს დაუფარავად აგრძნობინა, რომ ისეთი საკითხები, როგორიცაა ბრიტანეთის ელჩების დანიშვნა, ინგლისის მთავრობის კომპეტენციაა. არც ერთ უცხო სახელმწიფოს არა აქვს უფლება, ამაში ჩაერიოს.

– ელჩის ვაკანსია დაკავებულია! ბრიტანეთის ამჟამინდელი ელჩი ვაშინგტონში საქმეს თავს ჩინებულად არ-თმევს და ამ პოსტზე კიდევ არაერთ წელიწადს დარჩება, – განაცხადა მეიმ.

ნაიჯელ ფარაჯი აქტიურ ევროსკეპტიკოსთა რიგებს განეკუთვნება. ფა-

რაჯი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი იყო. ის ბრექსიტის მთავარი იდეოლოგი გახლდათ. მისი წვლილი უდიდესია იმაში, რომ ბრექსიტი შედგა.

ბრიტანული პრესა წერდა, რომ ფარაჯს ტრამპთან კარგა ხნის ურთიერთობები აკავშირებდა. გარკვეულწილად ეს დადასტურდა. საპრეზიდენტო არჩევნების გამარჯვებისთანავე ტრამპმა ფარაჯი მიიღო. ის პირველი უცხოელი პოლიტიკოსი გახლდათ, ვისაც აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტი შეხვდა.

– მსოფლიო შეიცვალა, დროა დაუნინგ-სთრიტმა ეს გაითვალისწინოს, – განაცხადა ფარაჯმა.

პრესასთან ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ მზადაა, ტერეზა მეის მთავრობას დონალდ ტრამპთან ურთიერთობების დალაგებაში დაეხმაროს. ტრამპმა თავის მხრივ საჯაროდ განაცხადა, რომ ფარაჯი აშშ-ში ბრიტანეთის ელჩის პოსტის საუკეთესო კანდიდატურაა. აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტი მარტოოდენ ამას არ დასჯერდა. მან ტერეზა მეის სთხოვა, რომ ფარაჯი ელჩის პოსტზე დაენიშნა.

ლონდონში ასეთი თხოვნა უტაქტობად აღიქვეს და ტრამპსაც უარი უთხრეს.

შედგა ქერი-ლავროვის სატელეფონო საუბარი

შედგა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯონ ქერის სატელეფონო საუბარი. მისი ძირითადი თემა ალეპოში შექმნილი მდგომარეობა იყო. ლავროვმა განაცხადა, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის დროა ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მოლაპარაკებები დაიწყოს.

ქერი ამას დაეთანხმა.

თავად ალეპოში კი ცხარე ბრძოლები მიმდინარეობს. ასადის არმიამ ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყო. მიზანი ალეპოზე კონტროლის დამყარებაა.

პოლონეთში ნატოს ბატალიონების განთავსება დაიწყო

პოლონეთში ნატოს მრავალეროვანი ბატალიონების განთავსება დაიწყო. მათ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განალაგებენ. ბატალიონების განთავსება იანვრის შუა რიცხვებში დასრულდება.

– ყველა დაუპატიჟებელ სტუმარს, ვინც ჩვენთან შემოჭრას მოისურვებს, საკადრისი პასუხი გაეცემა, – ამბობს პოლონეთის თავდაცვის მინისტრი მაცერევიჩი.

უკრაინულმა სასამართლომ რუს დივერსანტებს ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯა

ქალაქ ნიკოლაევის რაიონულმა სასამართლომ ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯა რუს დივერსანტებს, ოდინცოვსა და ბარანოვს.

ისინი რუსეთ-უკრაინის საზღვრის ყირიმის მონაკვეთზე დააკავეს. მათ ჩამოერთვათ იარაღი და დიდი ოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება. დაკავებულები ახლო წარსულში უკრაინულ არმიაში მსახურობდნენ, ყირიმის ოკუპაცია-ანექსიის დროს რუსების მხარეს გადავიდნენ, რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს და რუსულ არმიაში დაიწყეს სამსახური.

რუსი დივერსანტების დაპატიმრებამ კრემლის რისხვა გამოიწვია. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ განაცხადა, რომ უკრაინის უშიშროებამ ოდინცოვი და ბარანოვი მოიტაცა. შოიგუმ ორივე დივერსანტის დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა. მსგავს პოზიციაზე დგანან რუსი დეპუტატებიც. ისინი კიევს ემუქრებიან, თუკი ჩვენს მოქალაქეებს არ გაათავისუფლებთ, დაისჯებითო.

– რუსების მუქარებისა ჩვენ არ გვეშინია! რაც შეეხება დაპატიმრებულ ბარანოვისა და ოდინცოვის გათავისუფლებას, ეს შეუძლებელია! არ გამოვრიცხავ, რომ მოხდეს მათი გაცვლა რუსეთში დაპატიმრებულ უნა-უნსოს წევრებზე კარპიუხსა და კნიხზე, მაგრამ უპირობო გათავისუფლება გამორიცხულია, – განაცხადა უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ოლეგ ლიაშკომ.

უზბეკეთის ექსპრეზიდენტის ქალიშვილი გარდაიცვალა?



უზბეკეთის უშიშროების მაღალჩინოსანმა ბიბისის კორესპონდენტს განუცხადა, რომ გარდაიცვალა უზბეკეთის ექსპრეზიდენტ ისლამ ქარიმოვის ქალიშვილი გულნარა.

– ის მოწამლეს, – ამტკიცებს უზბეკი ჩეკისტი.

სხვა წყაროებიდან აღნიშნული ინფორმაცია არ დასტურდება. „რია ნოვოსტიმ“ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ცნობა გულნარა ქარიმოვას გარდაცვალების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება.

თურქეთში რეპრესიები არ წყდება

თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ ერდოღანის განკარგულებით, დათხოვნილია 15.000 ჩინოვნიკი, აქედან 7.500 პოლიციის მაღალჩინოსანია, 2.500 – თურქეთის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საგარეო ძალების ოფიცერი.

დახურულია 375 არასამთავრობო ორგანიზაცია, არ წყდება დაპატიმრებები. დღეისთვის გისოსებს მიღმა 36.000 ადამიანი იმყოფება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ასტროპროგნოზი
24 ნოემბრისათვის

ვერძი – ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეგიძლიათ. კეთილისმყოფელი დღეა სულიერი სრულყოფისათვის. ** კურო** – დაიტვირთეთ ფიზიკურად, დაკავდით სპორტით. ერიდეთ კამათს მეგობართან. **ტყუპები** – ეცადეთ, დაწყებული საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ. გამორიცხული არ არის რომანტიკული შეხვედრა ან ვახშამი ახლობლების წრეში. **კირჩხიბი** – თავს მშვიდად და ენერგიულად გრძნობთ. ახალი ნაცნობობა ხალისს შეგმატებთ. **ლომი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ინტუიცია არ გიღალატებთ. ხელმძღვანელობასთან კამათს ერიდეთ. **ქალწული** – ნუ დაწვრილმანდებით. თუ გაწყენინეს, დიდსულოვნება გამოიჩინეთ და აპატიეთ. **სასწორი** – მეტი დრო დაუთმეთ პარტნიორულ ურთიერთობებს. კეთილსინდისიერება და პასუხისმგებლობა დღის დევიზია. **ღრიანკალი** – ფულს ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ. საყიდლებზე წასვლა სამომავლოდ გადადეთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ავანტიურისტებს. ოპტიმიზმი პირად ცხოვრებაში შექმნილი კრიზისის დაძლევაში დაგეხმარებათ. **თხის რქა** – პროფესიონალურ სფეროში ან პირად ცხოვრებაში მოულოდნელად სიძნელეები შეგხვდებათ. ჩანაფიქრის განხორციელებაში მეგობრები დაიხმარეთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ახლობლებს ნუ დაივიწყებთ. დაეხმარეთ მათ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. შექმნილი ვითარება გეგმების შეცვლას გაიძულებთ. დღის მეორე ნახევარი მშვიდი და ჰარმონიული იქნება.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

განცხადებები

მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკური) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

პროგრამა
ხუთშაბათი 24 ნოემბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **07.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.15** ტ/სერ. "**ტრიუფფი**" **12.20** მხ/ფ "**პირველი გვერდი**" **15.00, 03.50** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **18.15** "ადამიანი მედია პრიზი" გალა დაჯილდოება **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** "უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ "**სასაცილო ადამიანები**"(ა.სენდლერი)

08.00, 14.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **09.00, 17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გენოფატორი" **10.15** მხ/ფ "**აპალაჩა**" **12.00** ტ/სერ. "**გულის მუსიკა**" **13.00** ტ/სერ. "**ნანტუ ვეტერინე**" **15.00, 18.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **23.00** "ნამდვილი დრო" **01.00** ტ/სერ. "**სად ხარ?!**"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ."**პაპარაჭლი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სერ. "**პეროქარატია** (9+1)" **00.30** გრიფით საიდუმლო **01.00** მხ/ფ "**ღარიბი მდიდარი გოგონა**" **03.00** მხ/ფ "**მეტროპია**" **04.25** მხ/ფ "**ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერსერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქრს გალია**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური ხუნთქვა**" **23.00** პროფილი P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/ფ "**ფანგიი და ჩამჩაი**" **9.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სპანდალი**" **11.00** სერ. "**ქერქო პრაქტიკა**" **13.00, 1.55** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასწაწარკვეთილი დისანახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. "**ლუციუის ელფერები**" **23.00** სერ. "**მისტერ რობოტი**" **0.00** მხ/ფ "**მაპარატელხელება ედვარდი**"

06.15 სჯანი-საღვრთო მადლისა და ადამიანის თავისუფალი ნების ურთიერთმიმართება **06.40** პატერიკი-ქრისტიან ბერებთან და ძვლების მტვირთველთან შეხვედრა **06.45** დ/ფ "წმინდა დიდმოწამე გიორგი" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი "უძველესი საცეცხლურები" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ფესვები**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "ტყავი,ბეწვი,ორნამენტი" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** ტრაპეზი "შემწვარი წინილა ბროწეულის ბაჟეში" **15.50** კონცერტი **17.00** ქრისტიანული ხელოვნება "კედლის მხატვრობა" **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "გზა წმინდა პაისიდან წმინდა სპირიდონამდე" **20.40** პორტრეტები **20.40** ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი", "ტომი და ჯერი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.30** დიდ ხარ შენ უფალო... "ადამი და ევა ადამიანის დაცემა" **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** დეკორატიული ფლორა "ნოლინა" **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქარმელიტა**" **10.00** სერ. "**ეაბერინა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 23.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 2.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**ვინ თუ არა მე**" **21.55** სერ. "**ბევი**" **22.40** სერ. "**ესპრობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალები თანდათან ივსება

ჩემპიონთა ლიგაზე 5 მერვედფინალისტს კიდევ 5 დაემატა – მონაკო, იუვენტუსი, ლევერკუზენი, ლესტერი და რეალი.

ე ჯგუფი

ცსკა-ლევერკუზენი 1:1

0:1 ფოლანდი (16), 1:1 ნათხო (75პ)

ცსკა: აკინფეევი, ფერნანდესი, ვ.ბერეზუცკი, ა.ბერეზუცკი, შენნიკოვი, ვერნბლუმი, ნათხო, მილანოვი, გოლოვინი, ძაგოევი (ტრაორე 83), ჩალოვი (სტანდბერგი 90)

ლევერკუზენი: ლენო, იედვაი, თა, თოფრაქი, ჰენრიხსი, ბრანდტი (ჰაფერტცი 71), არანგისი, კამპლი (მეჰმედი 90), ჩალჰანოღლუ, ჩიჩარიტო (ბაუმგარტლინგერი 81), ფოლანდი

ცსკა-ს ბოლო შანსი ჰქონდა პლეი ოფის საგზურისთვის ებრძოლა. ამისთვის ლევერკუზენის დამარცხება იყო საჭირო, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ...

ანგარიში კევინ ფოლანდმა მე-16 წუთზე გახსნა. ცსკას ფეხბურთელებს თამაშგარე ეგონათ, მაგრამ მსაჯმა წესების დარღვევა ვერ დაინახა. არც იყო და აკინფეევმა ჩემპიონთა ლიგაზე ზედიზედ 42-ე მატჩში გაუშვა გოლი. ეს მართლაც საოცარი ანტირეკორდია.

ცსკამ მაინც არ წააგო – 76-ე წუთზე ბებრას ნათხომ პენალტი გამოიყენა – 1:1.

მონაკო-ტოტენჰემი 2:1

1:0 სიდიბე (48), 1:1 კეინი (52პ), 2:1 ლემარი (53)

მონაკო:სუბაშიჩი, სიდიბე, გლიკი, ჟემერსონი, მენდი, ფაბინიო, სილვა, ბაკაიოკო, ლემარი (მოუტინიო 81), ფალკაო (რაგი 89), ჟერმენი (კარილიო 77)

ტოტენჰემი: ლორისი, ტრიპიერი, დაიერი, ვიმერი, როუზი, დემბელე (ერიკსენი 65), ვანიამა, ალი, ვინკსი (სისოკო 75), სონი (იანსენი 65), კეინი

ტოტენჰემსაც მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, მაგრამ მათი დაცვის შემხედვარე ამაზე ფიქრი რთული იყო. მონაკომ იოლად მოიგო. ის კი არადა, პირველ ტაიმში რადამელ ფალკაომ უგო ლორისს პენალტი ვერ გაუტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში სიდიბემ მონაკო დააწინაურა, მაგრამ ჰარი კეინმა პენალტით გაათანაბრა, მაგრამ მათი სიხარული 37 წამს გაგრძელდა – სიდიბეს პასით ლემარმა ჟარდიმის გუნდს 3 ქულა მოუტანა.

მონაკო მერვედფინალში პირველი ადგილით გავიდა, ლევერკუზენი – მეორეთი.

საკუჩნიო ცხრილი:

1.მონაკო	5	3	2	0	9-4	11
2.ლევერკუზენი	5	1	4	0	5-4	7
3.ტოტენჰემი	5	1	1	3	3-5	4
4.ცსკა	5	0	3	2	4-8	3

ბოლო ტური

7 დეკემბერი: ლევერკუზენი-მონაკო; ტოტენჰემი-ცსკა.

ფ ჯგუფი

დორტმუნდი-ლეგია 8:4

0:1 პრიოვიჩი (10), 1:1, 2:1 კაგავა (17, 18), 3:1 შაჰინი (20), 3:2 პრიოვიჩი (24), 4:2 დემბელე (29), 5:2, 6:2 როისი (32, 52), 6:3 კუჩარჩიკი (57), 7:3 პასლაკი (81), 7:4 ნიკოლიჩი (83), 8:4 როისი (90)

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, როდე, გინტერი, ბარტრა (დურმი 62), პასლაკი, კასტრო, შაჰინი (ოაბამეიანგი 70), კაგავა, პულიშიჩი, დემბელე (შურლე 72), როისი

ლეგია: ჩერჟნიაკი, ბერეჟისკი, ჟერვინსკი, პაზდანი, რეჟუნჩაკი, გილერმე (იადლოვეცი 55), კოპჟინსკი, რადოვიჩი, ოფოე (ნიკოლიჩი 75), კუჩარჩიკი, პრიოვიჩი (ვიეტესკა 69)

მხიარული თამაში გამოდგა – 12 გოლი გავიდა. დაბრუნება დამაჯერებელი არ გამოუვიდა ვაიდენფელერს, რომელმაც 4 გოლი გაუშვა, სამაგიეროდ, მარკო როისმა ჰეთ თრიკით აღნიშნა ტრავმის გამო გამოწვეული ხანგრძლივი პაუზა. შინჯი კაგავამ დუბლი შეასრულა, თანაც 2 წუთში. თითო გოლი შაჰინის, პასლაკისა და დემბელეს ანგარიშზეა.

ლეგიამ 3 გოლი რეალს გაუტანა, 4 დორტმუნდს და ვერცერთი ვერ მოიგო.

სპორტინგი-რეალი 1:2

0:1ვარანი (29), 1:1 ე.სილვა (80პ), 1:2 ბენზემა (87)

სპორტინგი: რუი პატრისიო, ჟ.პერეირა, კოატესი, სემედო, ზეეგელაარი, კარვალიო, სეზარი (კემპბელი 62), მარტინში, ე.სილვა, რუისი (სკელოტო 67), დოსტი (ანდრე 77)

რეალი: ნავასი, კარვახალი, რამოსი, ვარანი, მარსელო (კოენტრაო 71), მოდრიჩი, კოვაჩიჩი, ვასკესი, ისკო (ბენზემა 67), ბეილი (ასენსიო 58), რონალდო

გაძევება: პერეირა (64)

ანგარიში რაფაელ ვარანმა გახსნა. მეორე ტაიმში პორტუგალიელები უმცირესობაში დარჩნენ, მაგრამ მაინც მოახერხეს გათანაბრება, სილვამ 11 მეტრიდან ზუსტად დაჰკრა. თუმცა, მატჩს წერტილი ქარიმ ბენზემამ დაუსვა და მერვედფინალში გასულ დორტმუნდს რეალიც შეუერთდა.

საკუჩნიო ცხრილი:

1.დორტმუნდი	5	4	1	0	19-7	13
2.რეალი	5	3	2	0	14-8	11
3.სპორტინგი	5	1	0	4	5-7	3
4.ლეგია	5	0	1	4	8-24	1

ბოლო ტური

7 დეკემბერი:რეალი-დორტმუნდი; ლეგია-სპორტინგი.

ჯ ჯგუფი

ლესტერი-ბრიუგე 2:1

1:0 ოკაზაკი (5), 2:0 მაჰრეზი (30პ), 2:1 ისკიერდო (52)

ლესტერი: ცილერი, სიმპსონი, ჰუტი, მორგანი, ფუხსი, მაჰრეზი (შლუპი 68), კინგი, დრინკვოტერი, ოლბრაიტონი (ამარტეი 78), ვარდი, ოკაზაკი (გრეი 68)

ბრიუგე: ბიუტელი, კულსი, პუელენი, მეხელე, დე ბოკი (ვან რეინი 70), სიმონსი, პინა (ლიმბომბე 61), კლოდემირი (ფერეირა და სილვა 85), ვანაკენი, ვოსენი, ისკიერდო

როგორც ჩანს, ლესტერს მთელი ყურადღება ჩემპიონთა ლიგაზე აქვს გადატანილი. შარშანდელი პრემიერლიგის აღმოჩენა წელს ევროტურნირებზე გვაოცებს და ამ მატჩამდე გოლი არ ჰქონდა გაშვებული. ახლა ისკიერდოს გოლი აუღებელი ნამდვილად არ იყო, მაგრამ კასპერ შმეიხელის შემცვლელი ცილერი უხეშად შეცდა.

თუმცა, მანამდე ოკაზაკისა და მაჰრეზის გოლებით ლესტერი იგებდა და დებიუტანტი გუნდი მერვედფინალში განაღდებული პირველი ადგილით გავიდა.

კოპენჰაგენი-პორტუ 0:0

კოპენჰაგენი: ოლსენი, ანკერსენი, ზანკა, იოჰანსონი, აუგუსტინსონი, ფალკ იენსენი (კუსკი 75), დელანი, კვისტი, ტუტუ (გრეგუსი 75), პავლოვიჩი, ვერბიჩი

პორტუ: კასილიასი, მ.პერეირა, ფელიპე, მარკანო, ტელესი, რ.პერეირა, კორონა (ვარელა 88), ოტავინიო (ევანდრო 84), ტორესი, ჟოტა, ანდრე სილვა

უინტერესო და მოსაწყენი მატჩი იყო, მომენტები არც ყოფილა და ისე დასრულდა, როგორც ეკადრებოდა. ეს შედეგი პორტუს აწყობდა, ერთია, კოპენჰაგენმაც შანსები შეინარჩუნა.

საკუჩნიო ცხრილი:

1.ლესტერი	5	4	1	0	7-1	13
2.პორტუ	5	2	2	1	4-3	8
3.კოპენჰაგენი	5	1	3	1	5-2	6
4.ბრიუგე	5	0	0	5	2-12	0

ბოლო ტური

7 დეკემბერი: ბრიუგე-კოპენჰაგენი; პორტუ-ლესტერი.

ჰ ჯგუფი

სევილია-იუვენტუსი 1:3

1:0 პარეხა (9), 1:1 მარკიზიო (45პ), 1:2 ბონუჩი (84), 1:3 მანჯუკიჩი (90)

სევილია: რიკო, რამი, პარეხა, მერკადო, ნზონზი, მარიანო (კრანევიტერი 76), იბორა, ვიტოლო, ესკუდერო, ვასკესი, ვიეტო (სარაბია 46)

იუვენტუსი: ბუფონი, დანი ალვეში, ბონუჩი, რუგანი, ევრა (სტურარო 72), ხედირა, მარკიზიო, პიანიჩი (კინი 84), კუადრადო (კიელინი 87), ალექს სანდრო, მანჯუკიჩი

გაძევება: ვასკესი (36)

ტურის ყველაზე საინტერესო შეხვედრა ტურინელებმა მოიგეს. არადა, თითქმის განახევრებული შემადგენლობით. ამაში თავად სევილიელებიც დაეხმარნენ – 36-ე წუთიდან 10 კაცით თამაშობდნენ. მანამდე კი ნიკოლას პარეხას ლამაზი გოლით იგებდნენ.

კაცნაკლულები კი გატყდნენ. ჯერ ტაიმის მიწურულს მათ კარში კლატენბურგმა პენალტი დანიშნა, რომელიც მარკიზიომ გოლად აქცია.

მატჩის ბოლოს კი ბონუჩისა და მანჯუკიჩის გოლებით იუვე შინ 3 ქულით წავიდა.

ჰო, ტურინელი კინი, რომელიც მოედანზე 84-ე წუთზე შევიდა, პირველი ფეხბურთელია ჩემპიონთა ლიგაზე, რომელიც 21-ე საუკუნეში არის დაბადებული.

დინამო (ზ)-ლიონი 0:1

0:1 ლაკაზეტი (72)

დინამო: ლივაკოვიჩი, მატელი (ერნანდესი 14), სიგალი, ბერკოვიჩი, პივარიჩი, კნეზევიჩი, სიტუმი, პავიჩიჩი (მაჩადო 73), გოიაკი, ჩორიჩი (იონასი 52), ფერნანდესი

ლიონი:ლოპეში, რაფაელი, იანგა-მბივა, ნკულუ, მორელი, ფერი, გონალონი, დარდერი (ტოლისო 88), კორნე (ფეკირი 66), ვალბუენა (რიბუსი 88), ლაკაზეტი

ჯგუფის უდავო აუტსაიდერი ზაგრების დინამო მხოლოდ იმას გამორჩა, რომ ერთი ბურთით წააგო. გადამწყვეტი გოლი ალექსანდერ ლაკაზეტის ანგარიშზეა.

საკუჩნიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	5	3	2	0	9-2	11
2.სევილია	5	3	1	1	7-3	10
3.ლიონი	5	2	1	2	5-3	7
4.დინამო	5	0	0	5	0-13	0

ბოლო ტური

7 დეკემბერი: ლიონი-სევილია; იუვენტუსი-დინამო.

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მეტოქეები ცნობილია

სტამბოლში ევრობასკეტი 2017-ის ფინალური ტურნირის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა და გაირკვა საქართველოს ნაკრების მეტოქეები.

ილიას ზუროსის გუნდი ბ ჯგუფში მოხვდა, რომელიც ისრაელის ქალაქ თელ ავივში ჩაატარებს თამაშებს. საქართველოს ნაკრებს მეტოქეებად უკრაინა, ისრაელი, ლიტვა, იტალია და გერმანია ერგო.

წილისყრის შედეგად გუნდები ჯგუფებში შემდეგნაირად განაწილდნენ:

ა ჯგუფი: პოლონეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, ისლანდია, სლოვენია;

ბ ჯგუფი: უკრაინა, ისრაელი, ლიტვა, საქართველო, იტალია, გერმანია;

ც ჯგუფი: ხორვატია, ჩეხეთი, ესპანეთი, მონტენეგრო, რუმინეთი, უნგრეთი;

დ ჯგუფი: დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, სერბეთი, ლატვია, თურქეთი, ბელგია.

ევრობასკეტი 2017-ის ჯგუფური ეტაპი 31 აგვისტოს დაიწყება და 17 სექტემბერს დასრულდება. ჯგუფური ეტაპი ოთხ ქვეყანაში ჩატარდება: ფინეთში, ისრაელში, რუმინეთსა და თურქეთში.

პლეი ოფში თითო ჯგუფის საუკეთესო 4 გუნდი გადის და მერვედფინალში აგრძელებს ასპარეზობას. ტურნირის ფინალურ სტადიას კი უკვე თურქეთი უმასპინძლებს.

ევრობასკეტ 2017-ის კენჭისყრის შედეგებზე კომენტარი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ გააკეთა:

– შეიძლება ითქვას, გაგვიმართლა, ისრაელში რომ მოვხვდით. ამას არა სპორტული, არამედ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებიდან გამომდინარე ვამბობ. ისრაელთან საქართველოს საუკუნოვანი, მოძმე და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს და ეს ნამდვილად დიდი პლუსია. ჩვენი გუნდის წევრები ისრაელში თავს კარგად იგრძნობენ და ცხადია, ეს დადებითი მომენტი იქნება პრინციპული თამაშებისას... ისრაელში ბევრი ქართველი ცხოვრობს, იქ ჩვენი დიასპორა ძალიან ძლიერია და ისინი უკვე ემზადებიან საქართველოს ნაკრების ქომაგობისთვის.

რაც შეეხება მეტოქეებს, ვერ ვიტყვი, რომ ისრაელის ჯგუფი რომელიმეზე სუსტი ან ძლიერია. იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ ჩვენი ჯგუფი არის ყველაზე თანაბარი, რომელსაც არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი და ნებისმიერ მეტოქესთან შეიძლება ბრძოლა.

საქართველოს ნაკრების ჯგუფის კალენდარი ასეთია:

31 აგვისტო: გერმანია-უკრაინა; იტალია-ისრაელი; ლიტვა-საქართველო;

2 სექტემბერი: უკრაინა-იტალია; საქართველო-გერმანია; ისრაელი-ლიტვა;

3 სექტემბერი: საქართველო-უკრაინა; ლიტვა-იტალია; გერმანია-ისრაელი;

5 სექტემბერი: უკრაინა-ლიტვა; ისრაელი-საქართველო; იტალია-გერმანია;

6 სექტემბერი: ისრაელი-უკრაინა; გერმანია-ლიტვა; საქართველო-იტალია.

ელექტროლეიბი – ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლეიბთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი ღამეები.

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160

რეჟიმი: 2

დაცულია გადახურებისგან.

ფასი 30 ლარი

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (უკანა მხარე); ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158

ტელ.: 218-21-86; 579-885-996.

ტორპედო საქართველოს თასის მფლობელია

მერანი-ტორპედო 1:2

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

0:1 გურული (15), 0:2 ტუღუში (36),1:2 საბანაძე (53)

მერანი: კუპატაძე, მელიავა (წოწონავა 89), გიორგაძე, ორბელაძე, ჩალაძე, ტეიდი, ციმაკურიძე, წყაროზია (გეგია 71), ჯიქია (ქანთარია 46), შულაია, საბანაძე

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, გურული, ქიმაძე, მამასახლისი, ფალავანდიშვილი, ბაბუნაშვილი (საღრიშვილი 71), დოლიძე (ბენაშვილი 85), ტუღუში, კაპანაძე (ნერგაძე 79)

ზესტაფონური არენა იღბლიანი ტორპედოსთვის გამოდგა. საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ქუთაისელებმა მარტვილის მერანს სძლიეს და ისტორიაში მესამედ დაეუფლნენ საპატიო ტიტულს. ტორპედოს ოქროს ხანის შემდეგ 14 წელი ელოდნენ გუნდის ქომაგნი საყვარელი გუნდისგან ამგვარ წარმატებას და ეს დროც მოვიდა.

არადა, მძიმედ დაწყებული გარდამავალი სეზონის ფინიშისკენ ტორპედოელებმა შესაშურ შედეგს მიაღწიეს – ქვეყნის თასი დაისაკუთრეს და ევროპალიგის მომავალ გათამაშებაში გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

პირველლიგელთან ფინალში თამაშის გამოცდილება ტორპედოს ჰქონდა, მაგრამ მწარედ ახსოვდა – 2011 წელს რიონისპირული გუნდი გაგრასთან დამარცხდა და იგივე შეცდომის დაშვებას არ აპირებდა. ამიტომაც იყო რომ, მერანთან პირველი ტაიმი ტორპედოელთა საგრძნობი უპირატესობით წარიმართა და, ფაქტობრივად, სწორედ ამან გადაწყვიტა თამაშის ბედი. შესვენებამდე ქუთაისელებმა ორჯერ გაიტანეს.

ორივე გოლი სტანდარტულებს მოჰყვა: მე-15 წუთზე შოთა ბაბუნაშვილმა მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა ბურთი მარტვილელთა საჯარიმოში და გიორგი გურულმა ზუსტი თავურით გახსნა ანგარიში. მე-2 გოლი ბექა ტუღუშმა მიითვალა, რომელმაც მოხდენილი საჯარიმო დარტყმით შეარხია მერანის კარის ბადე. წინასწარ ვიტყვით, ბექა ფინალის საუკეთესო მოთამაშედ იქნა დასახელებული და სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

მარტვილელთა სასახელოდ უნდა ითქვას, შესვენების შემდეგ მათ ძალა არ დაუშურებიათ თამაშის გადასარჩენად. მერანი ინიციატივას დაეუფლა და შეტევაზე გადავიდა. 53-ე წუთზე ნიკა საბანაძემ საჯარიმო დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ამან კიდევ უფრო დაძაბა თამაში. 76-ე წუთზე მერანელი აკაკი შულაია გაისარჯა სანაქებოდ. იგი სწრაფად დაუსხლტდა ტორპედოელ მცველებს და კარში სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ როინ კვასხვაძემ იმარჯვა და კუთხურზე გადააგდო რთულად ასაღები ბურთი.

მატჩის ბოლოსკენ თამაში გათანაბრდა. მერანი მწვავედ ვეღარ უტევდა, ქუთაისელებს კი 2 საგოლე მომენტი ჰქონდათ, თუმცა ორივე შემთხვევაში დავით კუპატაძემ იყოჩაღა და ტუღუშის და ანრი ჭიჭინაძის დარტყმები მოიგერია...

შემდეგ იყო დაჯილდოების ცერემონია. ჯერ ფინალისტის, შემდეგ თასის მომგების. გუნდები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა და გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა დააჯილდოვეს...

და იყო ზღვა სიხარული. ზეიმობდნენ ტორპედოელები, ზეიმობდნენ ტორპედოს ფანები. ეს ყველაფერი, 14-წლიანი პაუზის შემდეგ მოხდა.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი.
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი.
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57
ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა.
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.
ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.
ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.
გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.
დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).
ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.
კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „მეტეხი II„ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - C1 და C2 მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 96 000 მ3).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.
კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი.
12 872 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).
1 287,2 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.
6 636 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 25 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.
ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 24 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.
5 წელი

14. სხვა მონაცემები.
აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი.
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი.
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57
ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა.
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.
ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.
ბ) ობიექტის დამუშავების დროს გადასახსნელი ქანები უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.
გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო„-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.
დ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.
ე) იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების დაწყების დროს აღმოჩნდა სს ,,სილქნეტი„-ს აშენებული ხაზოვანი ნაგებობა, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეაჩეროს მოპოვებითი სამუშაოები და შესაბამისი განცხადების საფუძველზე (სს ,,სილქნეტითან„) განახორციელოს განმეორებითი შეთანხმება.
ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.
ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).
თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი.
გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მულანლოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. იორზე, ,,ხაშმის„ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია B+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 195 300 მ3).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა.
გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მულანლოს მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი.
26 187 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %).
2 618,7 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი.
13 294 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 25 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი.
ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 24 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 დეკემბერს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა.
5 წელი

14. სხვა მონაცემები.
აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი.
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი.
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57
ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა.
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე.
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.
ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.
ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს.
გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას მოქმედი სანიტარული ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.
დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღის მოპოვების სამუშაოები განახორციელოს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია„-სთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის საფუძველზე.
ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დარგის ექსპერტის (ჰიდროლოგის) დასკვნა, სადაც დასაბუთებული იქნება რომ მდინარის კალაპოტში ინერტული მასალის მოპოვება არ შექმნის წინაპირობას მაგისტრალური გაზსადენის სიახლოვეს განვითარდეს მდინარის, როგორც სიღრმითი, ისე გვერდითი (ნაპირების) ეროზიული პროცესები, რითაც საფრთხე შეექმნება მილსადენის ნორმალურ ფუნქციონირებას.
ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სამუშაოები და აანზაღაუროს მიყენებული ზარალი, თუ წიაღის მოსაპოვებლად წარმოებული სამუშაოები საფრთხეს შეუქმნის მაგისტრალურ გაზსადენს.
ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №106 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.
